№ 55 13 მარტი, სამშაბათი 1866—1879 13 მარტი, სამშაბათი № 55

დროება

ᲣᲙᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲝᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ფასი განცხადებისა: ფასიანებით ახოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲐᲛ 1879 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲒᲐᲛᲝᲒᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲑᲐᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ Ბ. ᲨᲐᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, № 33.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲜᲔ: *Въ Типографіи. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ — —	8 ᲛᲐᲜ.
ᲔᲥᲕᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ — — —	5 ᲛᲐᲜ.
ᲡᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ — — —	3 „
ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ — — —	1 „

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ 6 ᲛᲐᲜ.

ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲒᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲦᲝᲦᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 8 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲕᲔᲜᲔᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲓᲐᲛ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲢᲘᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲦᲝᲦᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐ.

ᲕᲘᲜᲪ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲣᲓ-ᲛᲝᲮᲓᲘᲚᲘ, ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲦᲠᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲡᲪᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲐᲡᲕᲔᲜᲔᲡ, ᲬᲔᲡᲘ ᲐᲣᲒᲔᲡ.

ᲬᲔᲡᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲛᲨᲕᲔᲓᲘᲗᲘᲡ ᲔᲞᲘᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲡᲐᲕᲡᲔ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲭᲔᲕᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲪᲮᲝᲕᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ, ᲘᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ;

გამოხატა—თუ ამ საზოგადოების გულისათვის როგორ ივიწყებდა მიცვალებული თავის თავს, თავის კერძო სარგებლობას და სხვ.

ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ-ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲡᲘ ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲛᲢᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲒᲕᲣᲧᲐᲕᲡ ᲐᲥ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ.

ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲕᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲣᲤ. Ნ. Დ. ᲥᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲑᲔᲚᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗᲘᲗ, ᲐᲦᲤᲔᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲛᲘᲗ, ᲗᲘᲗᲝᲛᲥᲛᲘᲡ ᲢᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲗ ᲓᲐ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲜᲝᲗᲘᲗ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲗ ᲑᲔᲠᲡ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲠᲐ ᲗᲕᲐᲚᲖᲔ.

ᲐᲠ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲣᲤ. Ნ. Დ. ᲥᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ:

„ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲓᲐ ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ, ᲛᲣᲨᲐ ᲙᲐᲪᲘ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲤᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ. ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ, ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲔᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲚᲐᲚᲐᲕᲔᲗ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲗ.

„ᲑᲔᲔᲠᲘ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲨᲘ, ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲓᲒᲠᲝᲛᲔᲚ ᲯᲐᲤᲐᲨᲘ.

„ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ? ᲠᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲝᲕᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲐᲜ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲘᲡ, ᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ? ᲐᲛᲘᲡ ᲐᲡᲐᲮᲡᲜᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲙᲠᲐᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

„ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲛᲐᲜ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲢᲠᲤᲝᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲡ. ᲛᲔᲪ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲑᲔᲯᲜᲘᲔᲠᲐᲓ ᲕᲡᲗᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲕᲘᲡᲛᲔᲜᲓᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲠᲘᲒᲘᲐᲜᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲒᲐᲒᲐᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

„ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲐᲜ ᲛᲝᲰᲙᲘᲓᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐᲡ: ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲐᲜᲓᲝ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲮᲕᲓᲐᲕᲓᲘᲗ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲡ, ᲠᲐ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲮᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲐᲗ ᲡᲗᲕᲚᲘᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲐ.

„ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ ᲐᲛᲐᲜ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲐᲮᲠᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲘᲛ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲗᲣ ᲕᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲘᲛ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲗ ᲧᲛᲐᲬᲘᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲘᲛ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ.

„ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲒᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘᲡ ᲠᲯᲣᲚ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲜᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ,—ᲠᲐᲢᲝᲛ, ᲐᲛᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ.

„ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲫᲚᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲜᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ, ᲐᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲫᲚᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲜᲔ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲡᲐ-ᲖᲝ-ᲒᲐ-ᲓᲝ-ᲔᲑᲐᲡ.

„ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲞᲐᲢᲘᲕᲜᲐᲪᲔᲛᲛᲐ, ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐᲪ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐᲪ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐᲪ, ᲐᲛᲐᲜ ᲡᲐ-ᲖᲝ-ᲒᲐ-ᲓᲝ-ᲔᲑᲐᲡ ᲣᲫᲚᲔᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗᲝᲗ, ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲫᲚᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ.

„ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲨᲠᲘᲡ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲠᲗᲝ, ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲕᲐᲬᲔ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ.

„ᲛᲡᲔᲗ ᲣᲜᲓᲐ. ᲔᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲡ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲪᲓᲘᲐ ᲘᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲐᲚᲙᲔᲕᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐᲒᲐᲜ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲢᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ.

„ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲠᲝᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲧᲠᲛᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲘᲗᲘᲗ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ ᲐᲛ ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲛᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲢᲕᲘᲠᲗᲐ, ᲣᲜᲐᲣᲧᲝᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲩᲐᲣᲕᲚᲘᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲮᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲓᲕᲐᲬᲚᲡ, ᲩᲕᲔᲜᲝ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲝ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ.

„ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲜᲘᲭᲝᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚ-ᲗᲐᲝᲑᲐᲡ, ᲐᲛ ᲟᲐᲛᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ-

და-სხვა ნაირი ნისლით მობურულ მდგომარეობაში—იმ ნათელი გზის გარკვევა, რომელზედაც გზედავდით შენ ბეჯითის და საფუძვლიანის ნაბიჯით მსვლელად და ღმერთმა მოგვცეს ღონე ამ შენგან ნავალ გზაზედ მსვლელობისა ჩვენც შენზედ მგლოვიარე საქართველოს ყმაწვილკაცობას.

„დღეს ვეთხოვებით ბესარიონს, მაგრამ სახელი ამ პატიოსანი კაცისა დაჩება ჩვენ შორის ვისურვოთ, რომ სახელი ამ საუკუნოთ მიძინებულის კაცისა განგვაღვიძებდეს ჩვენ, საქართველოს ახალ-თაობის კაცებს, საშრომელათ ქვეყნის კეთილ-დღეობისადმი და ამ ქვეყნის ერთგული კაცის წადილების აღსასრულებლად.

„დაივენე ორმოცდა-ათის წლის ნაშრომმა კაცმა და შენმა შეუწყნარებელ შრომაში განვლილმა სიცოცხლემ თვისის მაგალითით გაგვამხნეოს ჩვენ, ვინც დღეს შენზედ ვსტირით...“

ამ გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე რადგან იმაში თითქო გამოხატული იყო ის გრძნობა, რომელიც ყველას აღელვებდა და უდუღდა იმ ჟამად გულში.

მიცვალებული წაიყვანეს თავის სამშობლო სოფელს ჯიხაიშში, სადაც, როგორც ამბობენ, მომავალ ხუთშაბათს დაასაფლავებენ. ს. მ.

ქუთაისი 9 მარტს.

დღიური

*** კვირას, 11 მარტს, 1 საათზე ქალაქის რჩევამ ამოარჩია ქალაქის თავად ალექსანდრე სტეფანეს ძე მატინოვი. სხდომაში დაესწრა 56 ხმოვანი; 11 კანდიდატი იყო წარდგენილი, ამ რიცხვიდამ შვიდი გამორიცხეს და სამმა უარი გამოაცხადეს; დარჩა მხოლოდ უფ. მატინოვი, რომელსაც არჩევანის შემდეგ ამოუვიდა 31 თეთრი კენჭი და 23 შავი.

*** გუშინ, კვირას, ქართულ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს სუნდუკიანცის „კიდევ ერთი მსხვერპლი:“ წარმოდგენამ ერთობ ცუდათ არ ჩაიარა, თუმცა ზოგჯერ აქტიორების უხალისობისა გამო, თუ კომედიის ბრალით პუბლიკა სთვლემდა. კარგათ ითამაშეს მლ. ლორთქიფანიძისამ, კ. ყიფიანმა (ბრილიანტოვის შვილის როლის გარდა) და მლიოზოვმა. სცენაზე ახლათ გამოსულებს ჯაბადარის ქალს და ბაბაშვილისას გამბედაობა რომ არ დაჰკლებოდათ ურიგოთ არ ითამაშებდნენ; ზოგიერთი ადგილები, როცა როლში შევიდნენ და მაყურებლები დაავიწყდათ, ამ ქალებმა ჩინებულათ აასრულეს.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 8 მარტს. ჩემს წერილში („დროება“ № 47) ვამბობდი, რომ თელავის სამღვდელოება იყოფება ორ გუნდათ. დეკანოზისტეში და არა-დეკანოზისტეში და მათ შუა არის დიდი განხეთქილება. ნიშნებს ამ განხეთქილებისას ეხლა მოგახსენებთ. ეს განხეთქილება ცხადად გამოჩნდა იმ სამღვდელოთა ყრილობაზედ, რომელსაც უნდა ამოერჩია ახალი ბლაღოჩინი. დიახ უნდა ამოერჩია ახალი ბლაღოჩინი, მაგრამ რაღაც მანქანებით ეს ყრილობა ისე იყო მოხერხებული, რომ ის პირნი, რომელთაგან კარგს არას მოელოდებოდნენ დეკანოზისტები უნდა ჰკლებოდნენ.

ამ მიზეზით, თუმცა ეს კრება უმეტესად შესდგებოდა დეკანოზისტებისაგან და ცხადი იყო შედეგი მათის მოქმედებისა, მაგრამ მაინც ორიოდ მღვდელი გამოვიდა მღაღადებლად უდაბნოსაშინა, რომლის მოსმენა სასიამოვნო იყო. რა ლა ბევრი გავაჭიანურო, საქმე იმაშია, რომ სანამ კენჭის-ყრას დაიწყობდნენ, წამოდგა ი.—მღვდელი და ჰსთქვა: „მე არ მინდა ისეთი ბლაღოჩინი, რომელიც უსირცხვილოდ მიგზავნიდეს დიაკვანს პური უნდა მამცეო; მე არ მინდა ის ბლაღოჩინი, რომელიც ართმევდეს საწყალ ღვდლებს და დიაკვნებს კოდობით და ტომრობით პურს; მე მინდა ბლაღოჩინი მოწყალე და არა მტარვალი“.

ამას არ გაეთავებინა, რომ წარმოდგა მეორე მღვდელი კ. და ჰსთქვა: „მე არ მინდა ისეთი ბლაღოჩინი, რომელიც სწყალობდეს მარტო თავის თავის გამოსადეგ პირთა და დანაშთენთ კი ჰყრიდეს და სტოვებდეს ტალახში; არ მინდა ისეთი ბლაღოჩინი, რომელიც სწყალობდეს და აჯილდოებდეს მარტო ნათლი-მამებს.—ჩვენ რაღა დავაშავეთ, რომელთ შვილები არა გვყვანან, რომ მოვანათვლინოთ, და იქნება არც შეძლება, რომ მას ყოველთვის სუფრა გაუშალოთ და ვაქეიფოთ.—არა, მე მინდა ბლაღოჩინი ყველასთვის ერთ-გული და მიუდგომელი“.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ მღვდელს კიდევ ბევრი რამ უნდა ეთქო: მაგ. უნდა ეთქო, რომ დეკანოზს იმდენი გაკვეთილები დაუხვეტია სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, რომ მას ჩვენი ყურის საგდებლად დრო აღარ დარჩენია; თუ დარჩება რაიმე დრო,—იმასაც მოანდომებს კულანდებურად, ბალებს და ქეიფებს; ჩვენ კი, თუ ვინიცობაა რაიმე უკმაყოფილობა მოგვიხდა ერთმანეთში და მივმართეთ ბლაღოჩინს, უნდა უეჭველად მოველოდეთ გამომძიებლათ ისეთ პირებს, რომელნიც ათჯერ დაითრობიან ჩვენსა და ორი შაურის საქმეს კი არ გაგვიკეთებენ. უნდა ვთქო, რომ მისი წამოსვლა სოფლად დიდს ზარალს აძლევს სოფლის სამღვდელოებასა, რადგანაც უმარქაფოთ არაოდეს არ მობძანდება ხოლმე; მაგრამ საწყალს აღარ დააცალეს, მისცვივდნენ დეკანოზისტები და ძალა უნებურად დააჩუმეს.

როცა შიგნით ასე ბაასობდნენ, ამბობენ ბოროტი ენები, მითომც-[illegible] დიაკვნებში ქადაგებდა სხვა ნათლი-მამა. ერთი სიტყვით, საქმე ისე წაიყვანეს, რომ, ჩვენდა სანუგეშოთ, ის დეკანოზი იქნა არჩეული. თუმცა აქ გაიმარჯვეს დეკანოზისტებმა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, როგორც მითხრეს, ამით არ გათავებულა მისი ამორჩევა. ამ ამორჩევითი პროტოკოლს თურმე მეორე პროტოკოლიც მის კეთილთა საქმეთა თან გაჰყვა.

ოპპოზიციის პროტოკოლს თან გაჰყოლებია კიდევ ერთიც სოფელ კურდღელაურელებისა, რომ პატიოსანმა დეკანოზმა ფული გამოგვართოო ეკკლესიის მხატვრობისათვის და კურთხევის დროს კიდეც მოგვაჩვენა რამდენიმე ძველი ხატი, ხოლო ის კი იყოვო, რომ ეს ხატები ჩქარა სადღაც გაქრენ და ფულებიც აღარსად გვიჩანანო.

ამ ნაირი ოინები იშვიათი არ არის ჩვენ სამღვდელოებაში და აღარც მე მინდა ამეებით გავაგრძელო ჩემი წერილი. საკმაოა ჯერ-ჯერობით რაცა ვსთქვით.

ეხლა ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ბლაღოჩინების ამორჩევამ და ერთმანეთის უკმაყოფილებამ ამოაჩინა ბევრი ისეთი მხარენი ჩვენის სამღვდელოებისა, რომელთ არსებობაში იჭვნეულებდით, მაგალ. ამოაჩინა სულით სიბერე და სიგლახაკე ზოგიერთ ახალგაზდა მღვდელთა; პირ-მოთნეობა და გაიძვერობა ისეთთა პირთა, რომელნიც პატიოსნების ღმერთად მიგვაჩნდნენ; თვით დეკანოზის სულიერთ მიდრეკილება და ტაქტიკა მოქმედებისა; ერთი სიტყვით, აღმოჩნდა რომ დეკანოზი ყოფილა საშინელი ეგოისტი; ჰყვარებია საოხროდან აღება და სატიალოზედ დადება; ჰყვარებია ყოველგვარის იარაღის ხმარება, რომ საკუთარს მიზანს მიახწიოს.

დროებით ვათავებ წერილს მღვდლებზე იმ იმედით, რომ რაც აქ იყო ნათქომი თითო პირზე ესევე ითქმის იმ დასებზე, რომელთ წინამძღოლებათ ეს პირნი ითვლებიან.

ი. ხ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ბროჰლი და ფურტუმ დაბეჭდეს პარიჟის გაზეთებში პროტესტი იმ პალატის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც იმათი კაბინეტი იკიცხებოდა. იმათი ჰაზრით პალატას ქონდა ნება, რომ ისინი მიეცა სამართალ ქვეშ, მაგრამ იმისი ნება კი არ ქონდა რომ უსამართლოთ იმათთვის განკიცხვა ხამოეცხადა.

ბრაზილია

თითქმის ერთი წელიწადია რაც ერთს

ბრაზილიის ნაწილში სერთაოს ხანგრძლივი შიმშილი უმწარებს სიცოცხლეს მთელ მილიონ ხალხს. თითქმის 150 ათასი კაცი დახოცილა მართებლობის ერთი მილიონი დოლლარი დაუნიშნავს გაჭირვებულების დასახმარებლათ. ერთი ამერიკელი გაზეთის კორრესპონდენტი სწერს, რომ შიმშილს ერთი რაღაც ნაირი ჟამის მსგავსი ავათმყოფობაც დაემატაო და ამან უფრო ბევრი ხალხი დახოცაო.

იტალია

იტალიის გაზეთებში იწერებიან, რომ ადრე თუ გვიან რომში მოხდებაო კონფერენციის შეყრა ზოგიერთა აღმოსავლეთის პოლიტიკის კითხვების გასასინჯავათ. რუსული გაზეთები დიდის თანაგრძნობით ღებულობენ რომს, კონფერენციის ადგილათ. მართლა, რომ ევროპაში არ დარჩა სხვა სატახტო ქალაქი, რომელშიაც შეეძლოთ უინტერესოთ გაარჩიონ ეს საუკუნო აღმოსავლეთის კითხვები.

სამართალი

(„დროების“ კორრესპონდენტისაგან)

ურიების საქმე

ქუთაისის ოლქის სასამართლოში

სხდომა 7 მარტს, საღამოს.

(გაგრძელება)

ნათელა დუმბიშიძე. ბალში ვიყავი. ქუჩაზე (საჩხერეში) ჩამოიარა შვიდმა ურიამ. ერთს ურიას ხურჯინი ეკიდა ცხენზე; ერთს თვალში ხურჯინისა თხის შვილი იყო, მეორეში რაღაც კნაოდა. თხას ჯოხს ურტყამდა ის ურია და აყვირებდა. მე და ჩემმა ნათლი-დედამ ეფემ ერთმანეთს უთხარით, აქ ერთი რამ უბედურება უნდა იყოს, თორემ ასე გაჩქარებით რას მიაჭენებენ ცხენებს ურიები!

ნათალია თუშიშვილი. დუქანთან ვიყავი საჩხერეში; ამ დროს ურიებმა ჩამოიარეს; შევატყე, რომ აღელვებულები იყვნენ. ჯერ თხის ხმა მომესმა, მერე თითქო სულ შეგუბებული ბავშისა. ურიებს ძალიან ჩქარა მიჰყავდათ ცხენები, მალ-მალე იხედებოდნენ უკან.

კესარია ჩარკვიანისა. ურიებმა რომ ჩაიარეს, ერთს იმათგანს ხურჯინში თხა მიჰყავდა. ბავშის ხმა მომესმა იმ დროს, როცა ეს ურიები დავინახე.

ილიკო პომშაიძე. ოთხი ურია მიდიოდა; ერთს თხა ჰყავდა ხურჯინში. ვკითხე ამათ, ფართალი ხომ არა გაქვთ-რა-მეთქი? მითხრეს, არაო და საჩქაროთ წავიდნენ. ბავშის ხმა არ გამიგონია.

დავით ანასაშვილი. სოფ. ქორეთში ვიყავი, ცხვარს ვყიდულობდი; ამ დროს მოვიდნენ ურიები, იყიდეს გლეხებისაგან ბატები და წავიდნენ. თხა დავინახე; მაგრამ ბავშის ხმა არ გამიგონია.

ნატალია ქაფურიშვილისა. ოთხმა ურიამ შემოიარა ჩემს ეზოში და მკითხეს: ბატები ხომ არა გყავს გასასყიდიო? მე უჩვენე ბატები და თითომან თად დაუფასე, ჯერ ორი აბაზი შემომძლიეს, მერე ოთხ აბაზათ მოვრიგდით, წაიყვანეს და წავიდნენ.

სხდომა 8 მარტს, დილას

არჯევან თარცაიძემ—10-12 წლის ბიჭმა—აჩვენა, რომ ის მწყემსავდა ცხვრებს და ამ დროს დარბაიძეების ყორესთან ნახა მკვდარი ბავში; შეეშინდა, იტირა და გამოიქცა, ახლოს არ უნახავს.

საჩინო დარბაიძემ.—10 წლის ბავშმა—სთქვა, რომ ის და არჯევანი ერთად იყვნენ და გვამი ახლოს არც იმას უნახავს. როგორც დაინახა, იმ წამსვე გამოიქცა და ხალხს შეატყობინა.

ივანე პაპანაძე ამბობს, რომ სამშაბათს საღამოს მოვიდა სოფლის კანცელარიაში იოსებ მოდებაძე და გამოაცხადაო, რომ პატარა ქალი დამეკარგაო. წავედით საძებნელად, შუაღამემდინ ვეძიეთ, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთო. ეჭვი იოსებ მოდებაძეს მაშინ არავიზედ გამოეცხადებიაო.

შემდეგ მოწმებმა: ნიკო წერეთელმა (პერევისის მწერალმა) სიკო პურტანიძემ (პერევისის მამასახლისმა) ალექსი დარბაიძემ, ნიკო დარბაიძემ და თემურაზ დარბაიძემ თითქმის ყველამ ერთხმად აჩვენეს საქმის გარემოება, რომ იმათ მეორე დღეს ოთხშაბათს, შეიტყვეს სარრასი დაკარგვა, ეძებეს, მაგრამ ხუთშაბათამდინ ვერ იპოვნეს, მიცვალებული მაღლობ ადგილზე იდვაო, იქ წყალი ვერ დაალრჩობდაო, ორი ცხენის კვალი შევნიშნეთ იმ ადგილზე, სადაც მიცვალებული იყოვო და სხვ. ამიტომ თითოეულის ამათი ჩვენება ცალ-ცალკე არ მოგვყავს.

ფილიმონ მიქაძე. (პერევისის სოფლის მასწავლებელი). 5 აპრილს, იოსებ მოდებაძის თხოვნით, დავწერე ქალაქის პოლიციის პრისტავთან, რომელსაც ვატყობინებდი ამ საქმის გარემოებას. 6 აპრილს, როდესაც ბავში ნახეს, სხვათა შორის, მეც წაველი იმის სანახავად. მარჯვენა ხელზე ცერსა და თითს შუა ხორცი თითქო ამოგლეჯილი ჰქონდა, მარცხენაზე კი უფრო ცოტა ნაჭერი ჰქონდა ხორცისა ამოჭრილი. იმ დღეს ისეთი საშინელი ნისლი იყო პერევისაში რომ, როდესაც საღამოს ერთი ოჯახიდამ შინ დავბრუნდი, გზა დამებნა და ვიღაც მოსახლის ღობეს დავეჯახე. ურიებისაგან ქრისტიანის ბავშის წვალებაზე მე გამიგონია, რომ თითებში გამოუშვებენ სისხლსაო, კუნთებს დაუსერენო, ბოჭკაში აგორებენო და სგვ.

სასამართლომ დაინახა, რომ ეს ჩვენება მოწმისა არ ეთანხმება იმის პირვანდელ ჩვენებას, როდესაც გამომძიებელმა ჰკითხა, და ამიტომ გარდაწყვიტა ამ პირველი ჩვენების წაკითხვა. როცა წაუკითხეს და სასამართლოს თავს მჯდომარემ ჰკითხა—თუ რატომ არის ამისთანა განსხვავება იმის პირველს და დღევანდელს ჩვენებაშიო, მოწამემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები:

„პირველი ჩვენების დროს მე ფიცი არ მიმილია. მაშინ მე მეშინოდა ხალხისა, რომელიც ძალიან აღელვებული იყო ამ საქმის თაობაზედ, და ამის გამო მაშინდელი ჩვენება მოგონილი და ტყუილი იყო. ახლა კი მე მივიღე ფიცი, რომ ღვთისა და ხელმწიფის წინაშე ყველაფერს სწორეს ვიტყვი, და ვამბობ-კიდეც ტყუილი არა მიჩვენებია-რა ღმერთმა ხომ იცის.!!

ამ სიტყვებმა აღძრა სიცილი და მხიარულება ცოტა არ იყოს მოწყენილს მაყურებელ საზოგადოებაში.

ტელეგრამები

(„დროების“ კორრესპონდენტისა)

ქუთაისი, 11 მარტს. სასამართლო გამოძიება გათავდა. დღეს დაიწყება baasi (ბჭობა). ურიების გამართლება შესაძლებელია.

ქუთაისი, 11 მარტს. სასამართლო ხალხით გატენილია. ბაასი რო დაიწყო პროკურორს გულს შემოეყარა. სხდომა ორშაბათისთვის გასდეს თუ პროკურორი უკეთ შეიქმნა. ბრალდებულების გამართლება შესაძლებელია.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 9 მარტს. გაზეთს „ახალს დროებას“ სწერენ ტირნოვოდამ: გენერალ-გუბერნატორმა დუნდუკოვ-კორსაკოვმა გამოუცხადა ბოლგარიის ნაციონალურ კრებას, რომ კრებას უფლება არა აქვს ევროპის სახელმწიფოებს მემორანდუმი გაუგზავნოს. კრება დაეთანხმა და შეუდგა წესდებულების განხილვას.

პეტერბურლის ბირჟა, 9 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოხი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის — —	96	87
მეორე — — — — — —	96	37
მესამესი — — — —	95	75
მეოთხესი — — — —	96	12
აღმოსავლეთის პირ. —	93	75
აღმოსავლეთის მეორე —	93	75
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	41
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — — —		
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	239	„
მეორე სესხის — — —	234	75
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი — — —	23	პენსი
ამსტერდამი — — —	„	ცენტი
ბერლინი — — — —	„	პფენიგი
პარიჟი — — — —	247	სანტიმი
კავკასიის კერასინი —	2	60

განცხადებანი

ქირით იძლევა ოთახები მებილით და მოსამსახურით, თითო ოთახი ათ მანეთიდამ ოცამდე თვეში. საპერის ქუჩა, სამხედრო გიმნაზიის პირ-და-პირ № 12, არუთინოვის სახლში. (3—3)

---

9 მარტს პირველსა და მესამე საათს შუა დღით, ვოზნესენკისა თუ სადოვის ქუჩაზე დაიკარგა ოქროს ქინძისთავი თერთმეტის ბრილიანტით შემკობილი. ვინც ამ ქინძისთავს მოიტანს ჩემს უპრავლენიაში მაშინვე მიიღებს საჩუქრათ ას მანეთს.

თფილისის უმფროსი პოლიციისმეისტერი, პოლკოვნიკი მერკლინგ. (3—2)

თფილისში უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

ალმანახი

შედგენილი
ზ. თუმანიშვილისაგან
წიგნი მეორე
გამოცემული ზ. ჩარკვიანისაგან
ფასი—ორი აბაზი

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ) —შედგენილი ზ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილთ—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი მული და მაზენიკები—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „ბუტიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი ზ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები—20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ღიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ გაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაობა“

ვოდევილი
აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

„ჭაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
გ. ჯორჯაძისა

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედიი .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი, 9 მარტს.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . .	1	30
ქერი ფუთი	1	10
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	40
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	9	70
მატყლი თუშური ფუთი.	6	50
—თარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ. .	2	10
ქონი, ფუთი	5	20
ქონის სანთელი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	45
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, გროც. ფუთი .	7	45
—ფხვნილი ფუთი . . .	5	40
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	70
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდის.

ორშაბათს: ვერმიშევი და ზარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საზებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საზებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Марта 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.